საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

04/03/2025

MES 0 25 0000338851

# გადაწყვეტილება

## სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ორგანიზაციის ტრანსფორმაცია და კონსულტირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული შუამდგომლობის (№185294, 20.02.2025), საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 26 თებერვლის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, “განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების” $27^{8}$-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობა და "ორგანიზაციის ტრანსფორმაცია და კონსულტირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2025 წლის 28 ივნისის ჩათვლით) დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 4 მარტის №224606 სხდომის ოქმის №01 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა

ელექტრონული
მზამავლსმეღლა
ელექტრონულად